PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ა(ა)იპ კოლეჯისთვის „ჰორიზონტი“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირაკლი სალუქვაძე

წევრი:

მიხეილ სამხარაძე

თბილისი, 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ა(ა)იპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

[redacted] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 8 აპრილს გამოცემული MES 1 21 0000338766 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, შეაჯამა განხილული საკითხები და ასევე შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარმართვისთვის საჭირო შეხვედრის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტების ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შედგა 2021 წლის 26 აპრილს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიულ განათლების მასწავლებელს. დაწესებულების წარმომდგენლებმა უზრუნველყვეს გორაბერეჟოულში არსებული შენობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი ფართის ჩვენება ვიდეო ჩართვის საშუალებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დაწესებულებას არ აქვს შესყიდული განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. აღნიშნული რესურსების მობილიზება უზრუნველყოფილია წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით შესრულების ვადის გათვალისწინებით - 6 თვემდე პერიოდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

VII. რეკომენდაციების შეჯამება

<u>განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>

<u>ინდიკატორი 2.1.1 - 8</u> პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და დამტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და დაწესებულების შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას (დეტალურად იხ. 2.1.1-8 ინდიკატორის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი).

<u>ინდიკატორი 2.2.1 - 1</u> ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილ „C“ გარემოს ოთახში არ არის გამდინარე წყალი და ჰაერის გამწოვი სისტემები, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია ლაბორატორიის სრულყოფისთვის აღნიშნული სისტემებით უზრუნველყოფის შესახებ.

<u>ინდიკატორი 2.2.1 - 7</u> სასურველია დაწესებულებამ საპროგნოზო ბიუჯეტის დაგეგმვისას განიხილოს პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერისა და განმახორციელებლების პროფესიული განვითარების დაფინანსების შესაძლებლობები.

<u>ინდიკატორები 2.3.1 - 1-2</u> დაწესებულებამ "მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესის და პროცედურების" დოკუმენტში დეტალურად აღწეროს პროგრამის ინიცირების და შემუშავების პროცედურები, სადაც ნათლად გამოჩნდება ვინ შეიძლება იყოს ინიციატორი, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და მათი ფუნქციები.

დაწესებულებამ შემუშავებული რეგულაციების და განაწილებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, სრულად გამორიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ჩანაწერების/ტერმინების შენარჩუნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ეტაპზე ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

<u>ინდიკატორი 2.4.1 - 2</u> დაწესებულებამ „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესი და პროცედურები“ და „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესი“ თანხვედრაში მოიყვანოს ერთმანეთთან პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსის მიხედვით, პროფესიული სტუდენტების მიერ მათი კანონიერი უფლებით სარგებლობის შესახებ - „პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით“.

<u>ინდიკატორი 2.4.1 - 4</u> სასურველია დაწესებულებამ "სსსმ სტუდენტის მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის" დოკუმენტში ჩაშალოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების შესაძლო შემთხვევები, აღწეროს პროცესები, მათ შორის რას მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება.

<u>ინდიკატორი 2.4.2 - 3</u> დაწესებულებამ „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესის“ მე-11 მუხლის 11.2 პუნქტი და მე-9 მუხლის 9.14 პუნქტი მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში და ითვალისწინებდეს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით შენახვის ვალდებულებას.(დეტალურად იხ. 2.4.2-3 ინდიკატორის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი).

<u>ინდიკატორი 2.4.2 - 4</u> დაწესებულებაში გავრცელებული მიდგომა პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის და უკუკავშირის მიწოდების შესახებ ასახულ იქნას შესაბამის რეგულაციაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N 04-35 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მოდულური - 30 პროფესიული სტუდენტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

1. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) განხორციელების მიზანშეწონილობის შესაბამისი დასაბუთება, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია რეგიონში IT მიმართულების განვითარებაზე და კადრების მოთხოვნის ზრდაზე, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საპილოტე ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამამ, რომლის ფარგლებში განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით უზრუნველყოფა და უახლოეს პერიოდში დაიწყება მოსახლეობის ჩართვის სამუშაოები. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ დასაბუთებაში არ არის გამოკვეთილი პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების საჭიროება. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, გასაუბრების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო რესურსცენტრის დახმარებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლების ცხრა კლას დამთავრებულებთან და მათ მშობლებთან ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვების შედეგებით, რომელიც . ცენტრის მეშვეობით წარედგინათ ექსპერტებს. (დანართი 2).

წარმოდგენილი დასაბუთება შეესაბამება კოლეჯის მისიას - "*თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვით, მაღალკვალიფიციური პერსონალის, ტურისტული პოტენციალის და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნის მიღებით და პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების გზით უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს / მსმენელს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის და დასაქმების საშუალებას, უზრუნველყოფს მათ პროფესიულ თვითრეალიზაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებას.*" მისიიდან გამომდინარე დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025), რომლის მე-11 აქტივობა განსაზღვრულია "*პროფესიული განათლების კანონით ნებადართული პროგრამების დანერგვა და განხორციელება მათ შორის პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები*".

ექსპერტების შეფასებით, დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების თაობაზე ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება მისიას და გამომდინარეობს სტრატეგიული განვითრების გეგმიდან.

2. პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. მოცემული წინაპირობა შეესაბამება „ინფორმაციის ტექნოლოგის“ (სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ) ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია აღნიშნული პროგრამა. პროგრამის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში კი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის საბაზო განათლება, რომელიც შეესაბამება 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულების კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს N 32/დ ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც კვოტის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება პროგრამისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ფართი, შესაბამისი აღჭურვილობები, ორ ცვლაში სწავლება, პროგრამის ხანგრძლივობა და პროგრამების სპეციფიკა. აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით, დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N04-34 ბრძანებით დამტკიცებულია ჩოხატაურის გორაბერეჟოულის სასწავლო ფართში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი, რომლის შესაბამისად, „სულ პროგრამისთვის გამოყოფილია 3 ოთახი (ერთი - A/B გარემო, ერთი - B გარემო და ერთი C გარემო). თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც. სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ შესაძლებელია ორი ჯგუფის სწავლება ერთდროულად ორ ცვლაში“.

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები” პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობა გამოანგარიშებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო რესურსები. აღნიშნული რესურსები ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულებისთვის უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა პროფესიული მოდულების უმეტესობაში („დარგობრივი ინგლისური ენა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „Linux ოპერაციულ სისტემასთან მუშაობა“, „Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ბაზისური გამართვა“, "კომპიუტერული ქსელის სტრუქტურა და აგების პრინციპები", "ბაზისური ქსელური სერვისების გამართვა", "ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია კომპიუტერულ ქსელებში") მითითებული ლიტერატურა არ შეესაბამება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამის თემატიკას.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამის დანართი N4-ით წარმოდგენილი აქვს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს ინტეგრირებული, პროფესიული და საერთო პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსს და მასალა-ნედლეულს, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში არ არის მითითებული ინფორმაცია ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რესურსებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულ უზუსტობებთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრების დღესვე, ცენტრის მეშვეობით გამოგზავნეს დირექტორის 2021 წლის 26 აპრილის N04-63 ბრძანება (დანართი 3) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ შესაბამისი დანართებით, რომლითაც ზემოთხსენებული ყველა უზუსტობა აღმოფხვრილია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N04-35 ბრძანებით. აღნიშნული უფლება დირექტორს განსაზღვრული აქვს წესდების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

7. პროგრამის სახელწოდება - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ასახავს პროგრამის შინაარსს, არ არის შეცდომაში შემყვანი, არ იწვევს არასწორ მოლოდინებს და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

8. პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ (სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების რეკომენდებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის ძირითადი დოკუმენტს დანართების სახით ახლავს შესაბამისი მოდულები, მათ შორის ქართული ენა (A2, B1) და სასწავლო გეგმები როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული სწავლებისთვის. ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, სავარუდო ხანგრძლივობა, ასევე დაშვებისა და სწავლების თავისებურებები არაქართულენოვანი პირებისთვის. ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.

პროგრამის შესწავლის შედეგად გამოკვეთა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა:

- პროგრამის ძირითადი დოკუმენტის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას, თუმცა მის ნაცვლად მითითებულია პროგრამის დასახელება;
- ზოგადი მოდულებში (მეწარმეობა 2 და ინგლისური ენა) დამხმარე ჩანაწერებში არ იკვეთება სრული ადაპტირება და გვხვდება ისეთი ჩანაწერები როგორიცაა, „რეკომენდებულია“, „შესაძლებელია“;
- პროფესიული მოდულების (გარდა გაცნობითი პრაქტიკისა) დამხმარე ჩანაწერებში, სწავლებისა და შეფასების ორგანიზების მიდგომებში მოცემული ველი „დამატებითი ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშრებით“ არ შეიცავს ჩანაწერებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

- პროგრამის არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში ფიქსირდება ტექნიკური ხასიათის უზუსტობა, მოდულის „კომპიუტერული ქსელის სტრუქტურა და აგების პრინციპები“ დამოუკიდებელი საათების ჯამი შეადგენს 30-ს, ნაცვლად 29 საათისა.

ზემოაღნიშნული ცდომილებების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ძირითადი დოკუმენტის და მისი დანართების ადაპტირების ეტაპზე გაითვალისწინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები პროგრამაში შესატანი აუცილებელი ინფორმაციის შესახებ (პროგრამის სახელწოდების მითითებასთან დაკავშირებით) და გზამკვლევი (პროგრამის დამატების შესახებ).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ინდიკატორი 1

- დაწესებულების მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლების ცხრა კლას დამთავრებულებთან და მათ მშობლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება;

ინდიკატორი 2

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება;

ინდიკატორი 3

- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (2018 წლის 17 აგვისტოს N 32/დ ბრძანება);
- პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება;

ინდიკატორი 4

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- დირექტორის 2021 წლის 26 აპრილის N04-63 ბრძანება პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ინდიკატორი 5

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერი ქსელი და სისტემები“;

ინდიკატორი 6

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი (2021 წლის 25 მარტის N04-35 ბრძანება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

- წესდება;

<u>ინდიკატორი 7</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;

<u>ინდიკატორი 8</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროგრამის დანართი N4-ით წარმოდგენილი აქვს განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება ჩარჩო-დოკუმენტის დანართით განსაზღვრულ მინიმალური მატერიალური რესურსების ჩამონათვალს, თუმცა აღნიშნული რესურსები კოლეჯს მფლობელობაში არ აქვს. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N04-38 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2.2.1 კომპონენტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი და მატერიალური რესურსების შესყიდვისთვის განსაზღვრულია 6 თვიანი პერიოდი (2021 წლის 15 აპრილიდან 2021 წლის 15 ოქტომბრამდე). გასაუბრების დროს ექსპერტები დაინტერესდნენ აღნიშნული მატერიალური რესურსების შესყიდვების პროცესით, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროცესი დაწყებულია და გასაუბრების დღესვე, ცენტრის მეშვეობით გამოგზავნეს შესაბამისი მატერიალური რესურსის შესაძენად წარმოდგენილი ინვოისები (დანართი 4).

დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთების დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გამოყოფილია 3 ოთახი - 1 A გარემოს ტიპის, 2 – B გარემოს ტიპის, ხოლო 1 C გარემოს ტიპის ინტეგრირებული მოდულებისთვის. დისტანციური ჩართვის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს აღნიშნული აუდიტორიები, რომელთა აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით დაგეგმილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. <u>აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილ C გარემოს ოთახში არ არის გამდინარე წყალი და ჰაერის გამწოვი სისტემები, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია ლაბორატორიის სრულყოფისთვის აღნიშნული სისტემებით უზრუნველყოფის შესახებ.</u>

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მიღების გამოცხადების პერიოდისთვის, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის მობილიზება უზრუნველყოფილია წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესრულების ვადის გათვალისწინებით - 6 თვემდე პერიოდი, რის გამოც, ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული ინდიკატორი სტანდარტთან მიმართებაში ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, N3 დანართის მიხედვით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 26 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 15 ინტეგრირებულ მოდულებზე, ხოლო 5 - დარგობრივ მოდულებზე, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო 8 ზოგად მოდულებზე (2 განმახორციელებელი ასწავლის ზოგად მოდულებზეც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

და დარგობრივად). **ექსპერტების შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას.**

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ადამიანური რესურსების დანართით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით და შესწავლილი პირადი საქმეების საფუძველზე, შესაბამისი მოდულების განსახორციელებლად შერჩეულ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია და აქვთ სწავლებისა და შეფასების გამოცდილება. გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ დაგეგმილი აქვთ შიდა ტრენინგების ჩატარება პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემისა და სხვა სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ და ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 17 მარტის N04-30 ბრძანებით „ა(ა)იპ კოლეჯის *„ჰორიზონტი“ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესის და პროცედურების“* დოკუმენტში შესულია ცვლილება, რომლის მიხედვითაც *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით განსაზღვრავს დირექტორი შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შემუშავებული ოქმის საფუძველზე“.* დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და აქვს Cisco-ს აკადემიის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. აღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და გასაუბრებით.

5. დაწესებულებას დირექტორის 2013 წლის 4 იანვრის N1/დ და 2014 წლის 25 ივნისის N2/დ ბრძანებებით დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ და „ბიბლიოთეკის დებულება“, რომლითაც განსაზღვრულია კოლეჯის ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, ბიბლიოთეკის ფუნქციები, ამოცანები და ბიბლიოთეკარის მოვალეობები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების გაცნობისა და პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ამ ეტაპზე პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი არ არის, რამდენადაც დაწესებულება არის აღჭურვის პროცესში. დაწესებულების განმარტებით სასწავლო რესურსი სრულად არსებობს, ელექტრონული და მატერიალური სახითაც, თუმცა ის განთავსებულია კოლეჯის ძირითად მისამართზე და ინვენტარით აღჭურვის შემდეგ გადატანილი იქნება გორაბერეჟოულის მისამართზე.

6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N04-10 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის, მე-15 მუხლი ადგენს „სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს", რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სპეციალური მომვლელის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მისი როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. ასევე, დაწესებულებას 2018 წლის 16 აგვისტოს N30/დ ბრძანებით დამტკიცებული აქვს "სსსმ სტუდენტის მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი".

7. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განაცხადით წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (6 პროფესიული სტუდენტი) და ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეობას: ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების, სასწავლო მიზნით გაწეულ და ადმინისტრირების ხარჯებს.

<u>ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია დაწესებულებამ საპროგნოზო ბიუჯეტის დაგეგმვისას განიხილოს პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერისა და განმახორციელებლების პროფესიული განვითარების დაფინანსების შესაძლებლობები.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

<u>ინდიკატორი 1</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N4 - მატერიალური რესურსები;
- შესასყიდი მატერიალური რესურსების ინვოისები;
- ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერება;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

<u>ინდიკატორი 2</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N3 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

<u>ინდიკატორი 3</u>

- ცენტრში წარმოდგენილი განაცხადის დანართი N3 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

<u>ინდიკატორი 4</u>

- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

<u>ინდიკატორი 5</u>

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (2014 წლის 25 ივნისის N2/დ ბრძანება);
- ბიბლიოთეკის დებულება (2013 წლის 4 იანვრის N1/დ ბრძანება);
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

<u>ინდიკატორი 6</u>

- ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი (2021 წლის 26 თებერვლის N04-10 ბრძანება);
- სსსმ სტუდენტის მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (2018 წლის 16 აგვისტოს N30/დ ბრძანება);
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

<u>ინდიკატორი 7</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2 ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ *„მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესის და პროცედურების“* მე-2 მუხლი აღწერს პროგრამის შემუშავების პროცედურას: პროგრამის შემუშავება ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით, შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობენ შესაბამისი დარგის და ზოგადი მოდულების პედაგოგები, პროგრამის პროექტი ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს. ასევე, ამავე წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოდულების შემუშავების წესები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პროფორიენტაციის და კარიერის მენეჯერი ბაზრის კვლევის იკვლევს დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებს, რის საფუძველზეც ახდენს პროგრამის შემუშავების ინიცირებას. შემდგომ ეტაპზე ხდება სამუშაო ჯგუფის შედგენა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით. ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შემუშავებაში ასახონ ინიცირების და პროგრამის შემუშავების ეტაპები დეტალურად.

<u>ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დეტალურად აღწეროს პროგრამის ინიცირების და შემუშავების პროცედურები, სადაც ნათლად გამოჩნდება ვინ შეიძლება იყოს ინიციატორი, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და მათი ფუნქციები.</u>

აღნიშნული წესის მე-6 მუხლი არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველსა და პროცედურებს, რომლის მიხედვითაც *„პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის(არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე“*. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შესაძლებელია მოხდეს შიდა მხარდაჭერის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამუშაო ოქმის საფუძველზე. აღნიშნულ ჯგუფის წევრები შეიძლება იყვნენ დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი, პროფესიული სტუდენტი. ამავე მუხლით ასევე დარეგულირებულია პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხები.

კოლეჯის „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესის“ მე-16 მუხლით განსაზღვრულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე ციკლის მიხედვით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, სწავლა-სწავლების და სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგს და შეფასებას, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას და სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას და დასაქმების სტატისტიკის წარმოებას. ასევე, ამავე წესი ითვალისწინებს არსებული გამოკითხვების/კვლევების და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას/მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, რომელიც აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

ჩამოთვლილი რეგულაციების მიხედვით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. ასევე, რეგულაციით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და ცვლილებების შეტანის პირობები.

„სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესის“ მე-16 მუხლის 2.12 პუნქტის მიხედვით, „პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება“. აღსანიშნავია, რომ „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესის და პროცედურების“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ხარისხის მართვის მენეჯერი ასევე ჩართულია პროგრამის შემუშავებაში („მოდულური პროგრამის შემუშავება ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით“). დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამის შემუშავების ეტაპზე ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობა შემოიფარგლება სამუშაო ჯგუფის ორგანიზაციული საკითხებით და კოორდინირებას უწევს პროცესს, ხოლო უშუალოდ პროგრამის შემუშავება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ.

<u>დაწესებულებას ექსპერტების მიერ მიეცა რეკომენდაცია შემუშავებული რეგულაციების და განაწილებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, სრულად გამორიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ჩანაწერების/ტერმინების შენარჩუნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ეტაპზე ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობასთან დაკავშირებით</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

<u>ინდიკატორი 1-2</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
- „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესი“;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები (ინტეგრირებული, არაინტეგრირებული) აგებულია განმეორებითი შეფასებისთვის დროის შუალედების დაცვით. პროფესიული სტუდენტის კვირეული საშუალო დატვირთვა არ აღემატება 36 საათს. პროგრამით გათვალისწინებული მოდულის წინაპირობები დაცულია.

2. სტუდენტთა ინტერესების გასათვალისწინებლად და სხვადასხვა შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესის“ მე-5 მუხლით განსაზღვრულია შიდა და გარე მობილობით სარგებლობის უფლების მოპოვების პირობები და პროცედურები, ხოლო მე-3 მუხლი აღწერს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხებს.

„მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესის და *პროცედურების“* მე-7 მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძვლებს და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხებს, სადაც მე-7 პუნქტის მიხედვით გათვალისწინებულია, რომ პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე დონის დასრულების შესაძლებლობა მილევად რეჟიმში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები ასევე გაწერილი აქვს „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესში“ (მუხლი 7), რომელიც არ ითვალისწინებს პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სწავლის დასრულებას მილევად რეჟიმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

დოკუმენტაციის ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ *„მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესი და პროცედურები“* და *„სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესი“* თანხვედრაში მოიყვანოს ერთმანეთთან პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსის მიხედვით პროფესიული სტუდენტების მიერ მათი კანონიერი უფლებით სარგებლობის შესახებ - *„პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით“.*

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემადგენელი მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების სარეკომენდაციო მეთოდებს, რომელიც არის თანამედროვე და უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულებას 2018 წლის 16 აგვისტოს N30/დ ბრძანებით დამტკიცებული აქვს "სსსმ სტუდენტის მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი", რომელიც გულისხმობს პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება. აღნიშნული წესის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საფუძვლებს და წესს.

<u>რეგულაციის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სასურველია დაწესებულებამ აღნიშნულ რეგულაციაში ჩაშალოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების შესაძლო შემთხვევები, აღწეროს პროცესები, მათ შორის რას მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება.</u>

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემადგენელი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად დაგეგმილია დაწესებულების ბაზაზე, შესაბამისად პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში პარტნიორი კომპანიის ჩართულობას, თუმცა გაცნობითი პრაქტიკის მოდულით განსაზღვრულია სასწავლო ექსკურსიები. აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯის მიერ შპს „ეარნეტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების რომლის საგანს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფარგლებში ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის სასწავლო ექსკურსიით უზრუნველყოფას „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის ფარგლებში.

6. პროგრამის სპეციფიკა არ ითვალისწინებს განსაკუთრებული უსაფრთხოების წესების არსებობას/დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

<u>ინდიკატორი 1-6</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“;
- „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“;
- „სსსმ სტუდენტის მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“
- შპს „ეარნეტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2 „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესის“ მე-10 მუხლი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესს და არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, აღწერილია შემუშავებისა და შემოწმების პროცედურა, რომლის მიხედვითაც შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელიც შემდგომში უთანხმებს სასწავლო პროცესის მენეჯერს და პროგრამის ხელმძღვანელს (ან/და შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტს). ამავე წესის მე-9 მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის შესაძლებლობა და გაწერილია ამ უფლებით სარგებლობის კონკრეტული ვადები, როგორც წინაპირობის არსებობის, ასევე არარსებობის შემთხვევაში. ზემოაღნიშნული დებულების მე-11 მუხლი მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული შედეგის გასაჩივრების წესს, რომლის მიხედვითაც შედეგის გაცნობიდან 2 დღის ვადაში (წინმსწრები მოდულის შემთხვევაში იმავე დღეს) პროფესიულ სტუდენტი მიმართავს კოლეჯის დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომელიც თავის მხრივ 2 დღის ვადაში იწვევს სააპელაციო კომისიას საკითხის განსახილველად. კომისია განიხილავს და მიღებულ გადაწყვეტილებას პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი აცნობებს პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

„სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესის“ მე-17 მუხლით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიმართულებები, პროცესი და პასუხისმგებელი პირის ფუნქციები. პროცესზე ანგარიშვალდებულება განსაზღვრული აქვს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელ პირს, რომლის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელებისას გამოყენებული ფორმები, განრიგი და ვერიფიკატორი, საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის ჯგუფი. დოკუმენტში აღწერილია ვერიფიკაციის მიზნები, კრიტერიუმები - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ამავე წესის მე-16 მუხლის 2.11 პუნქტი ითვალისწინებს *„სწავლებისა და შეფასების მაღალ ხარისხზე განხორციელების მიზნით, სწავლის შედეგების შესაბამისი სანდო, ვალიდური, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების (როგორც მოდულურის, ასევე, საგნორივი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროგრამებისათვის, შემუშავება და მისი შეთანხმება ხარისხის მართვის მენეჯერთან“, ხოლო მე-17 მუხლის მიხედვით *„ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით“*. აღნიშნული პუნქტების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩართულია როგორც ვალიდაციის, ასევე ვერიფიკაციის პროცესში, რაც ეწინააღმდეგება ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1.1-3 ინდიკატორის მოთხოვნას (პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს). გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს არის ტექნიკური ხასიათის უზუსტობა, კერძოდ მე-16 მუხლის 2.11 პუნქტი ეკუთვნის ძველ რეგულაციას. არსებული პრაქტიკით, ვალიდაციის პროცესში ჩართულია სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი ან/და შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, რაც დასტურდება ამავე წესის მე-10 მუხლის 2.2 და 2.4 პუნქტებით.

ზემოაღნიშნულ უზუსტობასთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრების დღესვე, ცენტრის მეშვეობით გამოგზავნეს დირექტორის 2021 წლის 26 აპრილის N04-66 ბრძანება (დანართი 5) „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც მე-16 მუხლის 2.11 პუნქტი თუ პუნქტის შინაარსი თუ როგორ? ამოღებულია დოკუმენტიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური და ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესის“ მე-11 მუხლით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების პროცედურები, რომლის მიხედვითაც შეფასების ინსტრუმენტებს, მტკიცებულებებს და შეფასების უწყისებს მოდულის მიმდინარეობის პროცესში ინახავს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს ან დამხმარე თანამშრომელს, რომელიც პროგრამის დასრულების შემდეგ განსახილველად გადასცემს საკვალიფიკაციო კომისიას.

„სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესის“ მე-11 მუხლის 11.2 პუნქტით „პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადა განსაზღვრულია კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წელი, თუმცა აღნიშნულთან წინააღმდეგობაში მოდის ამავე წესის მე-9 მუხლის 9.14 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „მტკიცებულებები შეიძლება განადგურდეს კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი თვის შემდეგ“

<u>დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესის“ მე-11 მუხლის 11.2 პუნქტი და მე-9 მუხლის 9.14 პუნქტი მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში და ითვალისწინებდეს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით შენახვის ვალდებულებას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

4. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ მოხდება მოდულის შეფასება პროფესიული სტუდენტის მიერ კითხვარის საშუალებით, ასევე მოდულის განმახორციელებელი პირების გამოკითხვა ჩატარდება ყოველ წლიურად სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს შეფასების და მათი საჭიროებების განსაზღვრის მიზნით. წელიწადში ერთხელ შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ატარებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას სტუდენტური სერვისების შეფასების მიზნით.

„სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესის“ მე-9 მუხლის მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, განმავითარებელი შეფასების გამოყენების ძირითადი მიზანი არის პროფესიული სტუდენტების შემდგომ განვითარებაზე ზრუნვა. აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი შეფასების ჩატარების ფორმა/ინტენსივობა და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდება რეგულაციებში გაწერილი არ არის.

<u>ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დაწესებულებაში გავრცელებული მიდგომა პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის და უკუკავშირის მიწოდების შესახებ ასახულ იქნას შესაბამის რეგულაციაში.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

<u>ინდიკატორი 1-4</u>

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“;
- „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

დანართი 2. გამოკითხვის შედეგები

დანართი 3. პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ

დანართი 4. შესასყიდი მატერიალური რესურსების ინვოისები

დანართი 5. ბრძანება მარეგულირებელ წესში ცვლილების შეტანის შესახებ

21.05.2021

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------